საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ნოტარიუსთა პალატის

წესდება

ქალაქი თბილისი **27 იანვარი, 2018წელი**

პრეამბულა

საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, ლათინური ნოტარიატის ტრადიციებისა და ამ წესდების გათვალისწინებით, უზრუნველვყოფთ საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, ნოტარიუსის პროფესიის განვითარებასა და დამოუკიდებლობას.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამართლებრივი სტატუსი და საქმიანობის საფუძვლები

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (შემდგომში - პალატა) არის ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად აღასრულებს თავის უფლებებს და ვალდებულებებს, მოქმედებს კანონიერების, საჯაროობისა და თვითმმართველობის პრინციპების გათვალისწინებით.
2. პალატა შექმნილია ,,ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით.
3. პალატის სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“.
4. პალატის საქმისწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.
5. პალატას აქვს ემბლემა, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, საბანკო ანგარიშები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
6. პალატის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პალატის წარმომადგენლობის ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი.
7. პალატის საიდენტიფიკაციო კოდია: 203840656.
8. პალატა საქმიანობს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების,

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, ლათინური ნოტარიატის ტრადიციების, სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდების“ (შემდგომში ,,წესდება“) და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თავი II. პალატის მიზნები და უფლებამოსილება

მუხლი 2. პალატის მიზნები და უფლებამოსილება

ნოტარიუსთა ინტერესების დაცვის, სანოტარო საქმიანობის ეფექტურად განხორციელების, ნოტარიუსის პროფესიის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით პალატა უფლებამოსილია:

ა) წარმოადგინოს ნოტარიუსი საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოში/საარბიტრაჟო წარმოებაში, ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანოსა და ორგანიზაციაში;

ბ) წარუდგინოს წინადადებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით;

გ) მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია ნოტარიუსებისაგან და მოისმინოს მათი განმარტებები;

დ) დაადგინოს ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელები პალატისათვის;

ე) შექმნას პალატის აპარატი;

ვ) განაზოგადოს სანოტარო მოქმედებები ერთგვაროვანი სანოტარო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და უნიფიკაციის მიზნით;

ზ) აწარმოოს კომერციული საქმიანობა თავისი საწესდებო მიზნების შესასრულებლად; თ) შექმნას პალატის სხვა წარმომადგენლობები და სტრუქტურულიერთეულები;

ი) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 3. პალატის საქმიანობის სფერო

პალატა თავისი უფლებამოსილებებისგანსახორციელებლად:

ა) ხელს უწყობს ნოტარიუსთა თვითმმართველობის განხორციელებას და ნოტარიუსების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) მონაწილეობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში, სანოტარო საქმიანობის სრულყოფისა და ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებისათვის განაზოგადებს სანოტარო პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

გ) ორგანიზებას უწევს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებას;

დ) ორგანიზებას უწევს სასწავლო ცენტრის საქმიანობას. წელიწადში არანაკლებ ორჯერ უზრუნველყოფს ნოტარიუსთა სავალდებულო, უწყვეტ სამართლებრივ განათლებას/სწავლებას; ატარებს ნოტარიუსთა შემცვლელი პირების, პალატისა და სანოტარო ბიუროს თანამშრომლებისათვის სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს;

ე) აწარმოებს ანალიტიკურ, სტატისტიკურ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ნოტარიატთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ვ) ფინანსურ დახმარებას უწევს ნოტარიუსებს და ნოტარიატის სისტემაში დასაქმებულ პირებს უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ზ) უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემთა ბაზების, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებას;

თ) უზრუნველყოფს ნოტარიუსთა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე ნოტარიუსთა, ნოტარიუსის შემცვლელ პირთა, ნოტარიუსის თანაშემწის კანდიდატთა, სტაჟიორთა, სანოტარო ბიუროებისა და მონაცემთა სხვა ბაზების შექმნას და განახლებას;

ი) მუდმივად ზრუნავს ნოტარიატის სამართლებრივი კულტურის განვითარებაზე, საზოგადოებაში ნოტარიუსისადმი ნდობისა და ნოტარიუსის საქმიანი რეპუტაციის

ამაღლებაზე;

კ) უზრუნველყოფს ნოტარიუსის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას;

ლ) უზრუნველყოფს ნოტარიუსთა მიერ სანოტარო საქმიანობის პროცესში დამოწმებული დოკუმენტების არქივში შენახვას და ხელმისაწვდომობას;

მ) ახდენს ერთიანი ელექტრონული სანოტარო რეესტრის პრევენციულ შემოწმებას;

ნ) ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და უფლებამოსილებების განხორციელებასთან და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მუხლი 4. პალატის ურთიერთობა იუსტიციის სამინისტროსთან

1. პალატა ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე ,,ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში და წესით. პალატის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. წლიური საერთო კრების ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში პალატის გამგეობა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგენს პალატის საქმიანობის წლიურ წერილობით ანგარიშს, აწვდის მოსაზრებებს ნოტარიატის განვითარებასთან დაკავშირებული იმ საკითხების შესახებ, რომელთა დანერგვა საჭიროა ნოტარიატის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია შეიტანოს შესწორებები პალატის გადაწყვეტილებაში, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

თავი III. პალატის წევრობა

მუხლი 5. პალატის წევრობა

1. პირი პალატის წევრი ხდება ნოტარიუსად დანიშვნისთანავე.

2. პალატის წევრს უფლებამოსილება უწყდება ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე.

3. ნოტარიუსად დანიშნული პირი პირველივე საერთო კრებაზე სურვილისამებრ დებს ფიცს და/ან ხელს აწერს დეკლარირებულ განაცხადს, რომელთა ტექსტსაც ამტკიცებს პალატის გამგეობა.

მუხლი 6. პალატის წევრის უფლება-მოვალეობები

1. პალატის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს პალატის საქმიანობაში და პალატის წევრთა საერთო კრების მუშაობაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს პალატის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში; გ) გაეცნოს პალატის გამგეობისა და კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

დ) მიიღოს ინფორმაცია პალატის საქმიანობის შესახებ;

ე) გაასაჩივროს პალატის წევრთა საერთო კრებისა და პალატის გამგეობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) ისარგებლოს სხვა უფლებებით, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნებიდან.

2. პალატის წევრი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს პალატის მიზნებისა და ფუნქციების

განხორციელებას;

ბ) დადგენილი წესით გადაიხადოს ყველა სავალდებულო გადასახდელი;

გ) პალატას წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია;

დ) გაიაროს პალატის მიერ ორგანიზებული სწავლებები უწყვეტი განათლების მიღების მიზნით;

ე) დაიცვას ლათინური ნოტარიატის ფუნდამენტური პრინციპები;

ვ) შეასრულოს კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

თავი IV. პალატის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 7. პალატის სტრუქტურა

1. პალატის საქმიანობა ხორციელდება პალატის წევრთა საერთო კრების, პალატის გამგეობის, კომისიებისა და წარმომადგენლობის მეშვეობით.

2. პალატის უმაღლესი მმართველი ორგანოა პალატის წევრთა საერთო კრება (შემდგომში - საერთო კრება).

3. პალატის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა – პალატის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა).

4. პალატაში იქმნება ორი კომისია პალატის საფინანსო-სარევიზიო კომისია (შემდგომში - კომისია) და პალატის დისციპლინური კომისია (შემდგომში - დისციპლინური კომისია).

5. გამგეობაში ან სხვადასხვა კომისიაში არჩეული ნოტარიუსი თავის ფუნქციებს ასრულებს ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 8. გამგეობისა და კომისიების სხდომაზე დასწრების წესი

1. გამგეობისა და კომისიების სხდომაზე დასწრება სავალდებულოა. გამგეობის/კომისიის წევრი ვალდებულია პირადად დაესწროს გამგეობის/კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვაში.

2. გამგეობისა და კომისიების წევრებს შესაბამის სხდომაზე მონაწილეობა შეუძლიათ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, თუ ამისათვის არსებობს პატივსადები მიზეზი, რაც უნდა აღინიშნოს სხდომის ოქმში. ამ შემთხვევაში, სხდომის ოქმზე ხელმოწერას ასრულებს გამგეობის/კომისიის მიერ დასახელებული სხდომაზე დამსწრე წევრი.

მუხლი 9. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება არის პალატის მმართველობის უმაღლესი ორგანო. საერთო კრებას შეუძლია დღის წესრიგში შეიტანოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც პალატის კომპეტენციას განეკუთვნება.

2. მხოლოდ საერთო კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს შემდეგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება:

ა) წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) პალატის წლიური ანგარიშის დამტკიცება;

გ) პალატისათვის ნოტარიუსების სავალდებულო გადასახდელების დადგენა;

დ) გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, გამგეობის წევრებისა და კომისიების წევრების არჩევა;

ე) გამგეობის მიერ წარდგენილი მომავალი წლის ბიუჯეტისა და გასული წლის ბალანსის დამტკიცება;

ვ) პალატის საბიუჯეტო ფონდების დებულების დამტკიცება;

ზ) საქართველოს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსის დამტკიცება;

თ) საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად სხვა საკითხების განხილვა.

3. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს. კრების გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი.

მუხლი 10. საერთო კრების მოწვევის პროცედურა

1. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში.

2. საერთო კრების მოწვევის ვალდებულება ეკისრება გამგეობას, რომელიც ადგენს კრების თარიღს და დღის წესრიგს. გამგეობა ვალდებულია კრება მოიწვიოს პალატის წევრი ნოტარიუსებისათვის ელექტრონული ფორმით და/ან პალატის ვებგვერდზე „მომხმარებლებისათვის" განკუთვნილ გრაფაში ინფორმაციის განთავსებით საერთო კრების თარიღამდე 2 კვირით ადრე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს საერთო კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და დღის წესრიგი, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის ინიციატორი. დღის წესრიგში განსახილველი საკითხის დამატება შესაძლებელია ამ წესდებით დადგენილი წესით, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე, ნოტარიუსთა საერთო რაოდენობის 1/5-ის ინიციატივით.

3. რიგგარეშე კრება მოიწვევა:

ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინადადებით;

ბ) გამგეობის ინიციატივით;

გ) პალატის წევრთა საერთო რაოდენობის 1/5-ის მოთხოვნით.

4. რიგგარეშე საერთო კრების თარიღი და დღის წესრიგი დგინდება გამგეობის გადაწყვეტილებით. გამგეობა ვალდებულია რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე საერთო კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 21 კალენდარული დღისა, ამასთან, გამგეობა ვალდებულია საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხი, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.

მუხლი 11. საერთო კრებაში მონაწილეობა

1. საერთო კრების მუშაობაში ნოტარიუსი მონაწილეობს პირადად ან წარმომადგენელი ნოტარიუსის მეშვეობით. წარმომადგენლობა ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მომზადებული თანხმობის (მინდობილობის) საფუძველზე. ნოტარიუსმა შეიძლება კრებაზე წარმოადგინოს არაუმეტეს 1 ნოტარიუსი.

2. ნოტარიუსი ვალდებულია პალატას წერილობით (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით) აცნობოს კრებაზე პირადად დაუსწრებლობის მიზეზი საერთო კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 სამუშაო დღით ადრე.

3. ნოტარიუსის მიერ არასაპატიო მიზეზით საერთო კრებაზე დაუსწრებლობა იწვევს ნოტარიუსის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

მუხლი 12. საერთო კრების უფლებამოსილება

1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. საერთო კრების უფლებამოსილების დასადგენად, წევრები საერთო კრების დაწყებამდე გაივლიან რეგისტრაციას.

2. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება არ არის უფლებამოსილი, საერთო კრების ჩატარებიდან არა უადრეს მე-14 და არა უგვიანეს 21-ე კალენდარული დღისა, იმავე დღის წესრიგით ტარდება განმეორებითი კრება.

მუხლი 13. საერთო კრების თავმჯდომარე. კრების ოქმი

1. კრებას თავმჯდომარეობს პალატის გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნისას პალატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, მათი არყოფნის შემთხვევაში კრების მიერ არჩეული ნოტარიუსი.
2. კრებაზე ხორციელდება ვიდეო ან/და აუდიო ჩაწერა, რის საფუძველზეც დგება კრების ოქმი. კრების ოქმს ადგენს კრების მდივანი, რომელიც აირჩევა კრების გახსნისთანავე. ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი. ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი უნდა ინახებოდეს პალატაში კრების ჩატარებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.
3. კრების თავმჯდომარე და მდივანი ვალდებულია კრების ჩატარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გამგეობას წარუდგინონ კრებისოქმი.
4. გამგეობა ვალდებულია კრების ჩატარებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს კრებისოქმი.

მუხლი 14. საერთო კრების საჯაროობა

1. საერთო კრება ტარდება ღიად და საჯაროდ.

2. იმ შემთხვევაში, თუ კრება იხილავს საკითხს, რომლის გახმაურება კანონით აკრძალულია, კრების გადაწყვეტილებით კრება ან მისი რომელიმე ნაწილი ცხადდება დახურულად.

თავი V. გამგეობა

მუხლი 15. გამგეობა და მისი შემადგენლობა

1. გამგეობა არის პალატის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო.

2. გამგეობა შედგება გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და წევრებისგან, რომელთაც სამი წლის ვადით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება.

მუხლი 16. გამგეობის არჩევის წესი

1. გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა ,,ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილისა და გამგეობის წევრობის კანდიდატი ვალდებულია საერთო კრების ჩატარებამდე, სულ მცირე, ერთი კვირით ადრე განცხადება წარუდგინოს პალატას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კანდიდატის სამოქმედო პროგრამა, რომელიც შეტანილი განცხადებების რიგითობის გათვალისწინებით, არა უგვიანეს ერთი სამუშაო დღისა, განთავსდება პალატის ვებგვერდზე არსებულ ბანერში „მომხმარებლებისათვის“. კანდიდატურის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთ ვაკანტურ პოზიციაზე. 3. პალატა უზრუნველყოფს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმებას, გარდა სამოქმედო პროგრამისა. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს,პალატა

მოახდენს კანდიდატის შეყვანას საარჩევნო ბიულეტენში წარდგენილი განცხადებების რიგითობის გათვალისწინებით.

4. პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე და ამ შემთხვევაში მის მიერ მიღებული ხმები არ დაითვლება.

5. ხმების დასათვლელად საერთო კრების მიერ იქმნება ხმის დამთვლელი კომისია 5 წევრის შემადგენლობით.

6. დაუშვებელია ხმის დამთვლელი კომისიის მუშაობის პროცესში კომისიის არაწევრი პირის დასწრება. სავალდებულოა კომისიის მუშაობის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა. აღნიშნული ჩანაწერის მოთხოვნის უფლება აქვს, ნებისმიერ დაინტერესებულ ნოტარიუსს.

7. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პირველ ტურში ვერ დაკომპლექტდა გამგეობის სრული შემადგენლობა, იმავე საერთო კრებაზე იმართება კენჭისყრის მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობას იღებენ პირველ ტურში მონაწილე ყველაზე მაღალი შედეგის მქონე კანდიდატები. მეორე ტურში ერთ ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს. იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე მაღალი რაოდენობის ხმების მქონე კანდიდატების რაოდენობა აღემატება ორს (მათ მიერ იდენტური ხმების მიღების გამო), მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს იდენტური შედეგების მქონე ყველა კანდიდატი.

8. ხელახალი არჩევნები იმართება საერთო კრების ჩატარებიდან მესამე კვირას შემდეგ შემთხვევებში:

ა) კენჭისყრის პირველი და/ან მეორე ტურის შემდეგ, კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატების რაოდენობა ვაკანტურ თანამდებობაზე ნაკლებია;

ბ) გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანსიაზე ასარჩევად წარმოდგენილ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა.

9. ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ვაკანტურ თანამდებობაზე არჩეული პირების შედეგები ძალაში რჩება. ხელახალი არჩევნებისთვის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ ნოტარიუსს ამ წესდებით დადგენილი პროცედურით.

10. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა გამგეობის ყველა წევრს შეუწყდება უფლებამოსილება, ან გამგეობა არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ერთი თვის ვადაში ატარებს გამგეობის ახალ არჩევნებს.

მუხლი 17. გამგეობის კომპეტენცია

1. გამგეობა:

ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატს, იცავს საქართველოს ნოტარიატისა და თითოეული ნოტარიუსის კანონიერ ინტერესებს ნებისმიერ საჯარო ან კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში და სასამართლოში;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ნოტარიატის ეფექტური ფუნქციონირებისთვის და წარუდგენს მათ საქართველოს იუსტიციის მინისტრს;

გ) შეიმუშავებს ნოტარიუსთა დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

დ) ზრუნავს ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ამ მიზნით ორგანიზებას უწევს სასწავლო ცენტრის საქმიანობას, წელიწადში არანაკლებ ორჯერ, მინიმუმ 8 საათიანი სწავლების საშუალებით უზრუნველყოფს ნოტარიუსთა სავალდებულო, უწყვეტ სამართლებრივ განათლებას/სწავლებას; ატარებს ნოტარიუსთა შემცვლელი პირების, პალატის და სანოტარო ბიუროს თანამშრომლებისათვის სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს;

ე) შეიმუშავებს სტაჟირების გავლის წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს

იუსტიციის მინისტრს;
ვ) ამტკიცებს პალატის აპარატის დებულებას;
ზ) ზედამხედველობს პალატის აპარატის, წარმომადგენლობებისა და სტრუქტურული ერთეულების მუშაობას;
თ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სანოტარო საქმიანობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ერთგვაროვანი სანოტარო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით;
ი) ქმნის დროებით კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს, რომელთა უფლებამოსილების ფარგლები და მუშაობის პრინციპები განისაზღვრება გამგეობის გადაწყვეტილებით;
კ) იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური კომისიის დასკვნის საფუძველზე ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების ან არდაწყების შესახებ, დადასტურებულად თვლის დისციპლინურ გადაცდომას და ნოტარიუსს უფარდებს დისციპლინურ სახდელს ან დადასტურებულად არ მიიჩნევს დისციპლინური გადაცდომის ფაქტს და წყვეტს დისციპლინურ დევნას;
ლ) ანიჭებს ,,საპატიო ნოტარიუსისა“ ან „ნოტარიუსთა პალატის საპატიო წევრის“ წოდებას ნოტარიატში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;
მ) აწესებს „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სახელობის სტიპენდიას“;
ნ) ასრულებს ამ წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს და უფლება- მოვალეობებს.

მუხლი 18. გამგეობის წევრის უფლებამოსილება

1. გამგეობის უფლებამოსილება იწყება გამგეობის სრული შემადგენლობის (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, წევრები) ნახევარზე მეტის არჩევის დღიდან და გრძელდება 3 კალენდარული წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ, გამგეობის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება გამგეობის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობამდე.
2. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან გამგეობის წევრს შეუჩერდა უფლებამოსილება განახორციელოს სანოტარო საქმიანობა, მას იმავე ვადით უჩერდება გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის, გამგეობის წევრის უფლებამოსილება.
3. გამგეობის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან გამგეობის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება:
ა) ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში. გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ან გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველის წარმოშობისთანავე;
ბ) გადადგომის შემთხვევაში. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება პალატას. გამგეობის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან;
გ) თუ ის აღარ ახორციელებს სანოტარო საქმიანობას იმ რეგიონში/მუნიციპალიტეტში, რომლის კვოტითაც იქნა საერთო კრების მიერ არჩეული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ თანახმად. [15.08.2020].
4. გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის და/ან გამგეობის წევრის ვაკანსიის წარმოშობიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს საერთო კრების ჩატარება. გამგეობის თავმჯდომარის ახალი მოადგილე და/ან გამგეობის ახალი წევრი აირჩევა გამგეობის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5. მორიგი არჩევნები ტარდება გამგეობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 21-ე კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2020 წლის 15 აგვისტოს წევრთა საერთო კრება. ძალაში შესვლის თარიღი - 15.08.2020 წ.

მუხლი 19. გამგეობის თავმჯდომარე

1. გამგეობის თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) წარმოადგენს საქართველოს ნოტარიატსა და გამგეობას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს;

გ) ასრულებს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებებს;

დ) მართავს, განკარგავს პალატის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს;

ე) პალატის სახელით ურთიერთობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან;

ვ) ხელმძღვანელობს პალატის აპარატის საქმიანობას;

ზ) ახორციელებს ყველა სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია გამგეობის ფუნქციების ეფექტურად განხორციელებასთან;

თ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

2. გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს ცალკეული კომპეტენციის დელეგირება გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეზე, გამგეობის წევრებზე და/ან პალატის თანამშრომლებზე.

3. საგანგებო შემთხვევებში, როცა შეუძლებელია გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ნოტარიატის ინტერესებს, გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. იგი ვალდებულია, ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობას პირველივე სხდომაზე. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობამ არ დაამტკიცა თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება, პასუხისმგებლობა ეკისრება თავმჯდომარეს.

4. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნისას, ან უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის არყოფნისას ან უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს გამგეობის უხუცესი წევრი.

მუხლი 20. გამგეობის სხდომა

1. გამგეობის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ.

2. გამგეობის სხდომას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, განსაზღვრული დღის წესრიგით იწვევს გამგეობის თავმჯდომარე სხდომამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე. დღის წესრიგში ცვლილების შეტანა დასაშვებია გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვრული დღის წესრიგით სხდომა მოიწვიოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადის დაცვის გარეშე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

4. სხდომა უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფისას, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, გადამწყვეტია წინამდებარე წესდების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირის ხმა.

5. გამგეობის სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ გამგეობის თავმჯდომარე ან მისი დავალებით გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ან გამგეობის ერთ-ერთი წევრი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. გამგეობის თავმჯდომარის, მოადგილის და/ან ერთ- ერთი წევრის მოთხოვნით შესაძლებელია განხორციელდეს გამგეობის სხდომებზე აუდიო ან ვიდეო ჩაწერა, რომელიც შეინახება პალატაში ოქმთან ერთად სხდომის ჩატარებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში.

თავი VI. პალატის აპარატი

მუხლი 21 . პალატის აპარატი

1. პალატის მიმდინარე ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება პალატის აპარატი (შემდგომში - აპარატი), რომლის თანამშრომლები არ არიან ნოტარიუსები.

2. აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დგინდება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა.

3. აპარატის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი არიან გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.

4. თავის კომპეტენციის ფარგლებში აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გამგეობის გადაწყვეტილებების, გამგეობის თავმჯდომარის ბრძანებების, წერილობითი და ზეპირი განკარგულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა ნოტარიატის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის ფარგლებში;

გ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სასამართლო წარმომადგენლობა ნოტარიუსის ან პალატის წინააღმდეგ მიმდინარე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე;

დ) გამგეობის სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადება;

ე) სანოტარო არქივის წარმოება, შევსება, შენახვა, დაცვა და არქივში დაცულ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) პალატის ოფისის გამართული ფუნქციონირება;

ზ) ნოტარიატის სისტემის თანამშრომელთა, ნოტარიუსების, ნოტარიუსის თანაშემწეების, სტაჟიორების პროფესიულ მომზადებასთან (სემინარების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების) დაკავშირებული წინადადებების შემუშავება და განხორციელება;

თ) ნოტარიატის სისტემაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით ნოტარიატის გამართული ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნოტარიატის სისტემის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა, აღრიცხვა და წარმოება;

კ) პალატაში შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა-დამუშავება, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

ლ) ნოტარიატთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, პერიოდული ანალიზი და შეფასება;

მ) დისციპლინის დაცვისა და შინაგანაწესით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

ნ) საერთო კრების ორგანიზება და საერთო კრებაზე განსახილველი საკითხების მომზადება;

ო) საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება, პალატის წლიური ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) პროექტისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება;

პ) პალატაში არსებული დოკუმენტაციისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა;

ჟ) ამ წესდებით და შესაბამისი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 22. აღმასრულებელი დირექტორი

1. პალატის მიმდინარე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს პალატის აღმასრულებელი დირექტორი.

2. აღმასრულებელი დირექტორი:

ა) წარმართავს პალატის აპარატის საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს პალატის ურთიერთობების კოორდინაციას სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ანაწილებს თანამშრომელთა შორის ფუნქციებს, უწევს მათ კოორდინაციას და კონტროლს სამუშაოს შესრულებაზე, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებას;

დ) გამგეობის წერილობითი დავალებით ახორციელებს პალატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, ამ მიზნით წარმოადგენს პალატას ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებში;

ე) პასუხისმგებელია პალატაში არსებული საჯარო ინფორმაციის დაცვაზე, მის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის გაცემაზე და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების ზედამხედველობაზე;

ვ) ხელს აწერს პალატაში მომზადებულ დოკუმენტებს, უზრუნველყოფს პალატაში დარეგისტრირებული დოკუმენტების ვიზირებას;

ზ) ანგარიშს წარუდგენს გამგეობას აპარატისა და საკუთარი საქმიანობის შესახებ;

თ) პასუხისმგებელია აპარატზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

თავი VII. პალატის ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა

მუხლი 23. პალატის ბიუჯეტის ფორმირება და შემოსავლის წყაროები

1. პალატის შემოსავლებისწყაროებია:

ა) საწევრო შენატანები;

ბ) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური;

გ) პალატის სანოტარო არქივიდან დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის გაცემის საფასური;

დ) გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;
ე) სასწავლო ცენტრიდან მიღებული შემოსავლები;
ვ) სესხით ან კრედიტით მოზიდული სახსრები;
ზ) პალატის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
თ) კანონით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები;
ი) შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. პალატის ქონება გამოიყენება მხოლოდ პალატის მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად.

3. პალატა უფლებამოსილია ჰქონდეს და/ან შეიძინოს უძრავი ქონება პალატის ფუნქციონირების მიზნებიდან გამომდინარე.

4. გრანტით მიღებული თანხები იხარჯება შესაბამისი პროექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5. ხარჯის მიზანია ნოტარიატის დარგის განვითარება.

მუხლი 24. პალატის წევრთა გადასახდელები

1. პალატის ყველა წევრი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური საწევრო გადასახადი (შემდგომში – საწევრო) ამ წესდებით დადგენილი წესით.

2. საწევროს განაკვეთია ნოტარიუსის საერთო შემოსავლის (ბრუნვის) 2%. საწევრო გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნებისათვის საერთო შემოსავალში იგულისხმება თანხა, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის საზღაურის სახით, დამატებული ღირებულების გადასახადის, სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურისა და სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების მონაწილის მიერ ანაზღაურებული ხარჯების გამოკლებით [26.02.2019].

3. საწევროს განაკვეთი ერთიანია ყველა ნოტარიუსისათვის.

4. ნოტარიუსი ვალდებულია საწევრო გადაიხადოს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე. ვადის დარღვევის შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი 5 კალენდარული დღის ვადაში არ უზრუნველყოფს საწევროს გადახდას, გამგეობის გადაწყვეტილებით ნოტარიუსს შეუწყდება წვდომა სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში დავალიანების სრულად გადახდამდე.

5. პალატის წევრი ვალდებულია ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, პალატას გადაუხადოს სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ვადის დარღვევის შემთხვევაში, თუ ნოტარიუსი 5 კალენდარული დღის ვადაში არ უზრუნველყოფს რეესტრში რეგისტრაციის საფასურის გადახდას, გამგეობის გადაწყვეტილებით ნოტარიუსს შეუწყდება წვდომა სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში დავალიანების სრულად გადახდამდე. 6. არასაპატიო მიზეზით საწევროს ან/და პალატაში სხვა სავალდებულო გადასახდელის გადაუხდელობა ნოტარიუსის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია.

7. ნოტარიუსი, რომელსაც შეუჩერდა უფლებამოსილება, არ იხდის საწევროს და სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურს უფლებამოსილების შეჩერების განმავლობაში.

8. პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს ნოტარიუსის მიერ პალატაში სავალდებულო გადასახდელების გადახდის სისწორე და ამ მიზნით ნოტარიუსისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

9. ნოტარიუსის მიერ საწევროს ზედმეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში ნოტარიუსი უფლებამოსილია დაიბრუნოს ზედმეტად გადახდილი თანხა, ან ჩაითვალოს მომდევნო თვეების

საწევროს ანგარიშში.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2019 წლის 26 იანვრის წევრთა საერთო კრება. ძალაში შესვლის თარიღი - 16.02.2019 წ.

მუხლი 25. პალატის ბიუჯეტი

1. პალატის ყოველწლიური შემოსავლები და ხარჯები აისახება ყოველწლიურ ბიუჯეტში.

2. ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს ამზადებს გამგეობა. გამგეობა ვალდებულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გაუგზავნოს ნოტარიუსებს საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

მუხლი 26. შემოსავლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმები

ყოველწლიურ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა აისახოს შემოსავლების სავარაუდო ოდენობა. შემოსავლების სავარაუდო ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმია ნოტარიუსთა სავალდებულო გადასახდელების გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობა.

მუხლი 27. ბიუჯეტის არადეფიციტურობა

ბიუჯეტით დაგეგმილი ხარჯების ოდენობა უნდა დაიგეგმოს გონივრულობის ფარგლებში, წინა წლის შემოსავლების, ხარჯების და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის გათვალისწინებით.

მუხლი 28. პალატის ხარჯები

1. პალატის ხარჯებია:

ა) შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, ჯილდო დანამატი);

ბ) საქონელი და მომსახურება (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მომუშავეთა ანაზღაურება, ივლინება, ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მათ შორის ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუდმივმოქმედი სასწავლო ცენტრის განვითარების ფონდი);

გ) სოციალური უზრუნველყოფა (სოლიდარობის ფონდი);

დ) გრანტები (საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობისა და სხვა საწევრო გადასახადები);

ე) გამგეობის ფონდი (საქველმოქმედო და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი);

ვ) სხვა ხარჯი (სესხის, დაზღვევის, საგადასახადო ვალდებულებებისა და სხვა ხარჯები);

ზ) არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გაწეული ხარჯები.

2. ნოტარიუსების მიერ პალატაში საწევრო გადასახადის სახით გადახდილი თანხების 1/3 მიემართება პალატის ბიუჯეტის საპენსიო ფონდში და მოხმარდება ნოტარიუსთა კერძო საპენსიო სქემის განვითარებას. [ამოღებულია 26.01.2019].

3. ნოტარიუსთა სოლიდარობის ფონდისა და გამგეობის ფონდის თანხების ხარჯვის წესი დგინდება შესაბამისი დებულებებით, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება.

4. პალატისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული თანხების გადანაწილება.

5. გამგეობის გადაწყვეტილებით ნოტარიუსთა მივლინებისას ანაზღაურება ხორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

6. პალატაში ინვენტარიზაციის ჩატარების წესი ხორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანების

შესაბამისად.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2019 წლის 26 იანვრის წევრთა საერთო კრება. ძალაში შესვლის თარიღი - 16.02.2019 წ.

მუხლი 29. ბიუჯეტის შესრულების დამტკიცება

1. ბიუჯეტს ამტკიცებს საერთო კრება არა უგვიანეს ახალი საბიუჯეტო წლის 31 იანვრამდე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადამდე ვერ დამტკიცდება ბიუჯეტი, მისი დამტკიცება მოხდება განმეორებით საერთო კრებაზე.
2. ბიუჯეტის დამტკიცებამდე ხარჯები ფინანსდება არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტით დადენილი ოდენობით.
3. გამგეობა ვალდებულია საერთო კრებას წარუდგინოს ყოველწლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
4. გამგეობა ვალდებულია ნოტარიუსებს ანგარიში დაუგზავნოს საერთო კრებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე.

მუხლი 30. პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულებაზე

1. პალატა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის აუდიტორულ შემოწმებას ახდენს წელიწადში ერთხელ.
2. პალატის თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვაზე პასუხისმგებელია გამგეობა.

თავი VIII. საფინანსო-სარევიზიო კომისია

მუხლი 31. საფინანსო-სარევიზიო კომისიის ფუნქციები

საფინანსო-სარევიზიო კომისია (შემდგომში „კომისია“) არის პალატის კონტროლის ორგანო, რომელიც ამოწმებს პალატის ბიუჯეტის ხარჯვის შესაბამისობას გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მუხლი 32. კომისიის არჩევის წესი და შემადგენლობა

1. კომისია აირჩევა პალატის წევრთა საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით.
2. კომისია შედგება 5 წევრისგან. კომისიის წევრობის კანდიდატი ვალდებულია საერთო კრების ჩატარებამდე, სულ მცირე, ერთი კვირით ადრე განცხადება წარუდგინოს პალატას. პალატა მოახდენს კანდიდატის შეყვანას საარჩევნო ბიულეტენში წარდგენილი განცხადებების რიგითობის გათვალისწინებით.
3. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კომისიის უფლებამოსილების ვადით.
4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პალატის სხვა ორგანოს წევრი.
5. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრად არჩეულ პირს შეუჩერდა უფლებამოსილება, განახორციელოს სანოტარო საქმიანობა, მას უჩერდება კომისიის წევრობა უფლებამოსილების შეჩერების ვადით.

მუხლი 33. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. კომისიის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება:

ა) ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში. წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად

ითვლება ნოტარიუსის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველის წარმოშობისთანავე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში. გადადგომის შესახებ წერილობითი განცხადება წარედგინება პალატას. კომისიის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან.

2. კომისიის წევრის ვაკანსიის შევსება ხდება მომდევნო საერთო კრებაზე. ახალი წევრი აირჩევა კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

3. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, გამგეობა 21 დღის ვადაში უზრუნველყოფს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და ტარდება არჩევნები კომისიის წევრის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად. ახალი წევრები აირჩევიან კომისიის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ კომისიის ყველა წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, გამგეობა 21 დღის ვადაში უზრუნველყოფს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და ტარდება კომისიის მთელი შემადგენლობის არჩევნები დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 34. კომისიის ვალდებულებები

კომისია ვალდებულია ყოველკვარტალურად შეამოწმოს გამგეობისა და გამგეობის თავმჯდომარის საფინანსო- ეკონომიკური საქმიანობის კანონიერება და შესაბამისობა საერთო კრების მიერ დადგენილ ხარჯთაღრიცხვასთან (ბიუჯეტთან).

მუხლი 35. შემოწმების წესი და ფორმა

1. კომისია უფლებამოსილია გამგეობისაგან გამოითხოვოს გამგეობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის, საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია და მოითხოვოს ახსნა- განმარტებანი როგორც გამგეობის წევრების, ისე აპარატის თანამშრომლებისაგან.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სპეციალისტი (აუდიტორი), სპეციალისტის შრომის ანაზღაურება ხდება პალატის ხარჯზე, გონივრულ ფარგლებში.

მუხლი 36. კომისიის სხდომა

1. კომისიის სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით იწვევს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) სხდომამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე.

2. კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნისას - მოადგილის) მიერ თავისი ინიციატივით ან არანაკლებ 2 წევრის წერილობითი მოთხოვნით. კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) ვალდებულია სხდომა მოიწვიოს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) სხდომას არ იწვევს ამ მუხლით დადგენილ ვადებში, კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს საკუთარი ინიციატივით და ჩაატაროს სხდომა.

მუხლი 37. გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც.

2. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.
3. კომისია ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებების ასლები გაუგზავნოს გამგეობას.

მუხლი 38. კომისიის ანგარიშვალდებულება

1. კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.

2. კომისია ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს წლიურ საერთო კრებას. წლიური ანგარიში ნოტარიუსებს წარედგინებათ საერთო კრების თარიღამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე.

თავი IX. დისციპლინური კომისია მუხლი

39. პალატის დისციპლინური კომისიის ფუნქციები

1. პალატის დისციპლინური კომისიის (შემდგომში - „დისციპლინური კომისია“) ფუნქციაა პალატის კომპეტენციაში არსებული „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებისა და დეონტოლოგიის (ეთიკის) კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევების განხილვა.
2. დისციპლინური კომისიის კომპეტენცია და მუშაობის წესი დგინდება ამ წესდებით, „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ და „ნოტარიუსის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ“ დებულებებით.

მუხლი 40. დისციპლინური კომისიის არჩევის წესი და შემადგენლობა

1. დისციპლინურ კომისიას ირჩევს საერთო კრება 5 წევრის შემადგენლობით 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით. დისციპლინური კომისიის წევრობის კანდიდატი ვალდებულია საერთო კრების ჩატარებამდე, სულ მცირე, ერთი კვირით ადრე განცხადება წარუდგინოს პალატას. კანდიდატურის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთ ვაკანტურ პოზიციაზე. პალატა მოახდენს კანდიდატის შეყვანას საარჩევნო ბიულეტენში წარდგენილი განცხადებების რიგითობის გათვალისწინებით.
2. დისციპლინური კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

3. დისციპლინური კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პალატის სხვა ორგანოს წევრი.

4. დისციპლინური კომისიის წევრთა უფლებამოსილების შეჩერებისა და ვადამდელი შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ წესდებით საფინანსო-სარევიზიო კომისიისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 41. დისციპლინური კომისიის სხდომა

1. დისციპლინური კომისიის სხდომა იმართება საჭიროებისამებრ. სხდომას წერილობითი ან ელექტრონული ფორმით იწვევს დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) სხდომამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე. დისციპლინური კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ასევე, დისციპლინური კომისიის არანაკლებ 2 წევრს წერილობითი მოთხოვნით, რა შემთხვევაშიც, დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) ვალდებულია სხდომა მოიწვიოს მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მოადგილე) სხდომას არ იწვევს ამ მუხლით დადგენილ ვადებში, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს საკუთარი

ინიციატივით და ჩაატაროს სხდომა.

მუხლი 42. გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც.

2. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად არ ჩაითვლება.

თავი X. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 43. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი წესით.
2. წესდებისა და მასში შესატანი ცვლილებებისა და/ან დამატებების პროექტს ამზადებს და წარადგენს გამგეობა ან პალატის წევრთა საერთო შემადგენლობის 1/5-სგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.
3. წესდებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით არ დადგინდება მათი ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. [15.08.2020].

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2020 წლის 15 აგვისტოს წევრთა საერთო კრება. ძალაში შესვლის თარიღი - 15.08.2020 წ.

მუხლი 44. არჩევნების ჩატარების ელექტრონული წესის დანერგვა

დაევალოს გამგეობას არა უგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს საერთო კრებებზე სარეგისტრაციო, საარჩევნო და ხმის მიცემის პროცედურების მართვის ელექტრონული საშუალებების გამოყენების დანერგვა. აღნიშნული პერიოდის შემდეგ ყოველ საერთო კრებაზე ამ მუხლით დადგენილი პროცედურები განხორციელდება მხოლოდ მართვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 45. პალატის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. პალატის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პალატის ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონების განკარგვა ხორციელდება საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 46. წესდების ძალაში შესვლა

წინამდებარე წესდება ამოქმედდეს 2018 წლის 29 იანვრიდან. ამ წესდების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ნოტარიუსთა საერთო კრების მიერ 2010 წლის 27 მარტს დამტკიცებული წესდება.

კრების თავმჯდომარე

კრების მდივანი